



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N20**

ქ. ლანჩხუთი

08.10.2018 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე და საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ეკა მეგრელიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე და საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, რომ დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემაზე მერისთვის

თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ სხდომას შეუერთდა საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა შპს „მაგთიკომი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ანდრია ზოდელავამ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შპს „მაგთიკომს“ დაგეგმილი აქვს საქართველოს მასშტაბით ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტისა და IP ტელევიზიის მიწოდება მომხმარებლისათვის, მათ შორის ქალაქ ლანჩუთში, რისთვისაც ესაჭიროებათ ქ.ლანჩუთის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული გარე განათების ბოძებზე ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანა და შესაბამისად მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულების გაფორმება აღნიშნული გარე განათების ბოძებით სარგებლობასთან დაკავშირებით და ითხოვა მუნიციპალიტეტს მიეწოდებინა მათ მიერ განსაზღვრულ არეალში მდებარე გარე განათების ბოძების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რაზეც მიწოდებული იქნა საპასუხო წერილი, რომლის შემდგომაც მიმდინარე წლის 28 სექტემბერს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „მაგთიკომი“-ს ხელმძღვანელობამ, წერილობით აცნობა მათი მოსაზრება გარე განათების ბოძებით სარგებლობის ფორმასთან (პირდაპირი განკარგვის წესი), საიჯარო ვადასთან და საიჯარო ფასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 22-რე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 22-რე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, გადაეცეს შპს „მაგთიკომი“-ს ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის, საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 107-მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ქონებას მიკუთვნებული გარე განათების კონსტრუქციებზე (ბოძები) მათ მიერ განსაზღვრული ნაწილი (წერტილოვანი მდებარეობა) მათ მიერ შემოთავაზებული საიჯარო ვადით (10 წელი) და შემოთავაზებული ფასის მაქსიმალური ოდენობით (თითოეულ ბოძზე წერტილოვანი მდებარეობისთვის 2,0 ლარი).

სხდომას მიმდინარეობისას შეუერთდნენ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე.

საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1 დეპუტატმა (ირაკლი მარშანიშვილი).

მიღებულ იქნა განკარგულება N94 (08.10.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტმა ელექტრონული აუქციონის გზით გაასხვისა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმაში შეტანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა გასხვისებით მიღებულმა თანხამ ჯამურად შეადგინა 21 483,3 ლარი, ასევე მიმდინარე წლის 14 სექტემბერს სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტომ განახორციელა ავტომანქანა VAZ 21213 (სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი XTA212130X1400614, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი:EM770ME) მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრირება, რომლის შემდგომაც, მუნიციპალიტეტის დაკვეთით, შპს აუდიტორულმა ფირმამ („აუდიტ-კლასიკი“) დაადგინა აღნიშნული ავტომანქანის (VAZ 21213, რეგისტრაციის ნომერი:EM770ME) საბაზრო ღირებულება და შეფასების მომენტისათვის მისი ფასი განსაზღვრა 870 (რვაას სამოცდაათი) ლარის ოდენობით.

მან ასევე აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა შევიდეს ცვლილება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 31 აგვისტოს N84 განკარგულებით დამტკიცებულ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 31 აგვისტოს N84 განკარგულებით დამტკიცებულ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში.

საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N95 (08.10.2018)

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა განაპირობა მიმდინარე წლის 31 აგვისტოს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამ, რომლის მიხედვითაც მცირდება საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფლებამოსილებები, ფუნქციების შემცირებიდან გამომდინარე საჭიროა საკრებულომ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომ ხელი არ შეეშალოს მოქალაქეთათვის ინფორმაციის დროულ მიწოდებას. შემოთავაზებული ცვლილებები მიზნად ისახავს, უფრო ეფექტურად, დროულად და სრულყოფილად მოხდეს ვებ-გვერდის მეშვეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა და ვებ-გვერდზე დროულად განთავსდეს საკრებულოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

მან ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში გათვალისწინებულია რამდენიმე ცვლილება, რომელიც ემსახურება ფუნქციათა დახვეწას რედაქციული თვალსაზრისით. წარმოდგენილი ცვლილებებით დახვეწილი და გამიჯნული იქნება კომპეტენციები, ასევე დადგენილება დაიხვეწება სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით. ამასთან, ხდება საკრებულოსა და მერიას შორის, კომპეტენციების მკაფიო გადანაწილება და ოპტიმიზაცია.

საკრებულოს წევრმა ამირან გიგინეიშვილმა დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ იყო თუ არა გათვალისწინებული აღნიშნული საკითხი მიმდინარე წლის საკრებულოს სამუშაო გეგმაში, რაზეც საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ საკრებულოს, ისევე როგორც მერიის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციის ვებ-გვერდზე ატვირთვა შედიოდა მერიის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების კომპეტენციაში და შესაბამისად მიმდინარე წლის საკრებულოს სამუშაო გეგმაში აღნიშნული საკითხი ვერ იქნებოდა გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი

მიღებულ იქნა დადგენილება N55 (08.10.2018)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვიციანი**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა განაპირობა საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შემცირებამ. კერძოდ, დამლაგებლის პოზიცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ აქვს, ასევე შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მძღოლი და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა მოხდეს კორექტირება დადგენილებაში.

საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N56 (08.10.2018)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვიციანი**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა განაპირობა დადგენილებაში ტექნიკური ხარვეზის არსებობამ. დადგენილება უნდა დაიხვეწოს სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით. კერძოდ, საკრებულოს რეგლამენტში

სიტყვა "მოადგილეები" უნდა ჩანაცვლდეს სიტყვა "მოადგილით", ვინაიდან საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს მხოლოდ ერთი მოადგილე.

საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი
მიღებულ იქნა განკარგულება N96 (08.10.2018)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

